REDEMOS

RECONFIGURING EU DEMOCRACY SUPPORT. TOWARDS A SUSTAINED DEMOS IN THE EU'S EASTERN NEIGHBOURHOOD

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 3

ჩინეთის როლი ევროკავშირის ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში

იულია ბადერი

აგვისტო, 2025

Funded by the European Union

The REDEMOS project has received funding from the European Union's Horizon Europe research and innovation programme under grant agreement No 101061738. The Associated Partner University of Surrey has received funding from UK Research and Innovation (UKRI) under the UK government's Horizon Europe funding guarantee under grant number 10040721. The Associated Partner University of St. Gallen has received funding from the Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation (SERI). Views and opinions expressed are, however, those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union, UKRI and SERI. Neither the European Union nor UKRI or SERI can be held responsible for them.

ზოგადი ვითარება

მართალია, ჩინეთი ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში შედარებით ახალი მოთამაშეა, განსხვავებით რუსეთისგან, რომლის ისტორიული უპირატესობა ამ რეგიონში დომინირებაა, მაგრამ ამჟამად ჩინეთი ამ სარბიელზე გავლენიან ფიგურად წარმოჩნდება. ჩინეთის ჩართულობა აჩვენებს მის ეკონომიკურ ამბიციებსა და სტრატეგიულ პრაგმატიზმს, რომელიც ეფუძნება ინიციატივას „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (Belt&Road). ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები აქტიურად მიმართავენ ჩინეთს, ვინაიდან მას განიხილავენ არა მხოლოდ, როგორც ეკონომიკური ინვესტიციების წყაროს და ევროკავშირის ალტერნატივას, არამედ, როგორც რუსეთის გავლენის გეოპოლიტიკურ საპირწონეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩინეთის პოლიტიკური გავლენა რეგიონში ჯერაც არაპირდაპირი და შეზღუდულია, რაც მოწმობს პეკინის, როგორც პარტნიორის, არასანდოობას, განსაკუთრებით, ტერიტორიული კონფლიქტების საკითხებში.

მიუხედავად ამისა, ექვს ქვეყანასთან ჩინეთის ეკონომიკური ჩართულობა სერიოზულ გამოწვევას უქმნის ევროკავშირის დასახულ მიზნებს, წარმოქმნილი სავაჭრო დისბალანსის, ელიტების ჩართულობისა თუ სახელმწიფო მართვის სფეროში გაზრდილი მოწყვლადობის გამო. მასმედიის საშუალებით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით ჩინეთი თავისთვის სასარგებლო ნარატივებს ავრცელებს — ამ გზით პეკინი პოზიტიურად წარმოჩნდება და ეწევა დისკურსს, რომელიც ძირს უთხრის ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებს. ჩინეთი ასევე აქტიურად ნერგავს უსაფრთხოებისა და თვალთვალის ორმაგი გამოყენების საკუთარ ტექნოლოგიებს, ზრდის მათ ხელმისაწვდომობას და პროპაგანდას უწევს ინტრუზიული პროგრამების გამოყენებას. ამგვარი ტექნოლოგიების დანერგვა ქმნის მათი რეპრესიული მიზნებისათვის გამოყენების რისკს. ამ პროგრამული უზრუნველყოფის პოტენციალის დემონსტრირებითა და გამოყენებით, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობების შეთავაზებით, შესაბამისი წინაპირობების გარეშე, როგორიცაა, მაგალითად, რეფორმები, და პირიქით, ავტორიტარული ნორმებისა და ტენდენციების გაძლიერების ხელშეწყობით, ჩინეთს შესწევს უნარი დაუპირისპირდეს ევროკავშირის ძალისხმევას ამ რეგიონში. ამასთან, რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით ჩინეთის პოზიცია კიდევ უფრო მეტად უთხრის ძირს როგორც რეგიონის, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას.

ძირითადი დასკვნები

- ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები აქტიურად ესწრაფვიან ჩინეთთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას, ინვესტიციების მოზიდვის მიზნითა თუ რუსეთის გავლენის საპირწონედ.

- ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთქმედება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მისი სტრატეგიული ინტერესებით, ინიციატივის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ფარგლებში. მიუხედავად ელიტების მიერ კორუფციის წახალისებისა და ქვეყნის სახელმწიფო მართვის სისტემაში სუსტ მხარეთა გამოყენებისა, ამ ინიციატივის შედეგად მოხერხდა ჩინური ინვესტიციების შეზღუდვა და სავაჭრო დისბალანსის გაზრდა. თუმცა, შესაძლოა, ჩინეთის გავლენა რეგიონში გაიზარდოს, რაც დამოკიდებულია იმაზე, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ჩინური კომპანიები შავ ზღვაზე ანაკლიის ქართული პორტის განვითარებაში.

- ზოგადად, ჩინეთის ძირითადი მიზანია ამ რეგიონის ქვეყნებისათვის საერთაშორისო წესრიგის შესახებ საკუთარი ხედვის თავსმოხვევა, რომელიც ჩამოყალიბებულია „ერთიანი მომავლის გლობალური საზოგადოების“კონცეფციაში, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრის ლიბერალ-დემოკრატიული ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრებას.

- ჩინეთმა არ გამოიყენა თავისი პოტენციალი მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროში, რასაც მოწმობს მისი არაერთგვაროვანი პოზიცია 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და 2022 წელს უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის მიმართ. მაშინ, როცა უკრაინა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირებს ესწრაფვის, საქართველო, მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობით, პირიქით, სულ უფრო მეტად ექცევა რუსეთისა და ჩინეთის მთავრობების ზეგავლენის ქვეშ.

- ჩინეთმა ხელი შეუწყო რეგიონში ორმაგი გამოყენების სათვალთვალო ტექნოლოგიების გავრცელებას და ეს ნორმად აქცია. ეროვნული მთავრობების მიერ ამ ტექნოლოგიების შესაძლო გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების ან სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების წინააღმდეგ სერიოზულ საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს, როგორც ეს გამოჩნდა საქართველოში 2024 წლის არჩევნების შემდეგ.

- ჩინეთი, ცალმხრივი დისკურსის გავრცელებით, იყენებს რა „რბილ ძალას“ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში, ადგილობრივ მედიაში აფართოებს წარმომადგენლობას და განათლების სფეროში თანამშრომლობას (სტიპენდიების დაწესება, კონფუცის ინსტიტუტების შექმნა), რაც პეკინს შესაძლებლობას აძლევს დაამკვიდროს პროჩინური ნარატივები, შემაშფოთებელია და აშკარად შეიცავს აკადემიური თავისუფლების პოტენციურ რისკს.

რეკომენდაციები

- ევროკავშირმა უნდა განაგრძოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ხელი შეუწყოს კანონის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ასევე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას; უნდა გააძლიეროს ანგარიშგების სტრუქტურები, რათა გაანეიტრალოს მმართველობის სფეროში არსებული რისკები და დაიცვას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები. ეს ამ ქვეყნებს დაეხმარება შეზღუდონ და დაიცვან თავი ჩინეთის გავლენისგან, რაც ხორციელდება კორუფციის, არასათანადო გამჭვირვალობის და სათვალთვალო ტექნოლოგიების მეშვეობით.
- ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს გაფართოების პროცესის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი, რათა ხელი შეუწყოს რეფორმების გატარებას, განსაკუთრებით, როცა შეინიშნება ჩინური ინვესტიციების ნაკლებობა და არ არსებობს დაპირებული ეკონომიკური სარგებელი. ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება საქართველოს მიერ დემოკრატიის პრინციპებიდან უკან დახევის გათვალისწინებით, როცა მისი ხელისუფლება ცდილობს დაამყაროს კავშირები ჩინეთთან. ამავე დროს, ევროკავშირმა უნდა აღიაროს, რომ რეგიონის ქვეყნების უმეტესობა ჩინეთს ალტერნატიულ პარტნიორად მიიჩნევს.
- იმის გამო, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები მუდმივად ესწრაფვიან ჩინური ინვესტიციების მოზიდვას, ევროკავშირმა ერთიანი სტრატეგიის შემუშავებით უნდა შეამციროს შესაძლებელი რისკები ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებში ჩინეთის შესვლის რისკებთან დაკავშირებით.
- ჩინელ მომწოდებლებზე დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს კოორდინაცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაციის გაცვლა, გადამოწმების მექანიზმების მხარდაჭერა და წაახალისოს ჩინეთის ჩართულობის შეზღუდვა ისეთ სტრატეგიულ სექტორებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები. უკრაინის შემთხვევაში ეს გულისხმობს ფინანსურ დახმარებას ომით დაზარალებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში.
- ევროკავშირმა უნდა ჩართოს ადგილობრივი მედია, სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობა და ელიტა რეგიონში ჩინეთის გავლენის საწინააღმდეგო ბრძოლაში, აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების განვითარებაში ევროკავშირის წვლილის შესახებ ეფექტური ინფორმირების გზით. ევროკავშირმა კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, კერძოდ, სახელმწიფო დიპლომატიის ძალისხმევით, პოზიტიური ნარატივების ჩამოყალიბებითა და დანერგვით, მათ შორის, ევროკავშირის მომავლის საკუთარი ხედვით, რაც, თავის მხრივ, მეზობელ ქვეყნებთან უფრო ძლიერ და მჭიდრო პარტნიორობას გულისხმობს.
- დაბოლოს, ევროკავშირმა დამოუკიდებელი მედიისა და ჟურნალისტიკის მხარდაჭერით ხელი უნდა შეუწყოს რეგიონში ჩინეთის როლის შესახებ კრიტიკული ანალიზსა და საჯარო დებატებს.

სრული ტექსტი REDEMOS-ის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვის – ჩინეთის როლი ევროკავშირის ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესში – ხელმისაწვდომია ბმულზე: https://redemos.eu/resources/publications/policy-papers /

REDEMOS: REconfiguring EU DEMOcracy Support.
Towards a sustained demos in the EU's Eastern Neighbourhood

REDEMOS- 101061738
HORIZON-CL2-2021-DEMOCRACY-01-04

Dr Mădălina Dobrescu, NTNU
info@redemos.eu

redemos.eu @REDEMOS_eu REDEMOS Horizon Europe Project